საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გავეცანით რა, ზუგდიდის მოსახლეთა გარკვეული ჯგუფის მიერ თქვენი მისამართით გამოგზავნილ, ცემენტის საწარმოს მშენებლობის საწინააღმდეგო წერილს (10.02.2021; N1930), მოქალაქეობრივ ვალდებულებად ჩავთვალეთ, მოგახსენოთ ჩვენი ალტერნატიული მოსაზრება.

გავიხსენოთ, - რა მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ: გაიძარცვა და გაპარტახდა სამეურნეო საწარმოთა უმეტესობა, მკვეთრად გაუარესდა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა.

„ჭრილობების“ მთელი რიგი დღესაც მოუშუშებელია.

გასაკვირი და შემაშფოთებელიც არის ის, რომ ამ ფონზე, მთელი საქართველოს მასშტაბით, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სერიოზული შემაფერხებელი წინააღმდეგობა ხვდება საარსებო მნიშვნელობის მქონე, მთავრობის მიერ მხარდაჭერილ პროექტებს, დაფინანსებულს, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და კერძო ინვესტორების მიერ.

ამ მხრივ, არც ქ.ზუგდიდია გამონაკლისი.

ცნობილია, რომ თავისი სამრეწველო-სამეურნეო პოტენციალით რეგიონი ერთ-ერთი მოწინავე იყო ქვეყანაში; დღეს, ვითარება რადიკალურად შეცვლილია, - მოშლილია მრეწველობა, არც სოფლის მეურნეობის მდგომარეობაა სახარბიელო. ვითარება გართულებულია აფხაზეთიდან დევნილი ათეულ ათასობით პრაქტიკულად უსახლკაროდ და სამუშაოს გარეშე დარჩენილი ლტოლვილების მდგომარეობით.

მაშინ, როდესაც რეგიონში შემოდის ინვესტიციები, როცა დგება ახალ საწარმოთა შექმნის კარგი პირობები, როდესაც „ფეხზე დგება“ ეკონომიკა და ჩნდება სოციალური პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობა, მოსახლეობა ერთსულოვნად და აქტიურად უნდა იყოს ჩართული აღმშენებლობის ამ ახალ პროცესებში.

სრულიად საპირისპიროდ შეხვდა მოსახლეთა გარკვეული ნაწილი ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. N 1-ის ტერიტორიაზე ცემენტის საწარმოს მშენებლობის შესაძლებლობას. სამწუხარო და საკვირველია რეგიონისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების მოწინააღმდეგეთა ასეთი უსაფუძვლო, სუსტ არგუმენტებზე დაყრდნობილი ნეგატიური ენთუზიაზმი.

როგორც წერილიდან (10.02.2021; N1930) და გარემოსდაცვითი დოკუმენტის საჯარო განხილვიდან გამოჩნდა, პროექტის უარყოფის ძირითადი მიზეზია, საწარმოსთან ახლომცხოვრებლებზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მტვერის და მომუშავე ტექნიკით გამოწვეული ხმაურის მავნე ზემოქმედების ფაქტორები.

უნდა აღინიშნოს, რომ ცემენტის საწარმო შენდება ქალაქის სამრეწველო ზონაში, ყოფილი ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის გაპარტახებულ და მიტოვებულ ტერიტორიაზე, მოსახლეობისგან მოშორებით. ამასთან, პროექტით არ არის გათვალისწინებული ნედლეულის გამოწვის და სხვა მავნე ქიმიური პროცესების განხორციელება, მოხდება მხოლოდ

შემოტანილი კლინკერის და სხვა ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის მექანიკური დაფქვა და შერევა.

ამავე დროს,როგორც შევიტყვეთ, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რისკის შემცირების მიზნით, კომპანიას შეძენილი აქვს ძვირადღირებული საერთაშორისო სტანდარტების დანადგარები, მტვერის მაღალეფექტური დამჭერებით და ხმაურის დამხშობი ეკრანებით; ასევე კომპანიამ უკვე განახორციელა რეკრეაციული ფუნქციების მქონე გამწვანების ზონის გაშენება და საწარმოო ტერიტორიაზე დარგო 200-ზე მეტი სხვადასხვა ჯიშის ხე.

ამასთან ინვესტორს დაწყებული აქვს საერთაშირისო ხარისხის სტანდარტის ისო-ს კონსულტაციისა და სერტიფიცირების დანერგვის სამუშაოები.

ბატონო მინისტრო, წერილის მიზანია გიჩვენოთ, რომ ზუგდიდში ცემენტის საწარმოს მოწყობის წინააღმდეგია მაცხოვრებლების მხოლოდ გარკვეული მცირედი ნაწილი, რომელიც როგორც ჩანს, გარკად ვერ აცნობიერებს იმ სიკეთეებს, რაც შეიძლება მოყვეს საწარმოს ამოქმედებას, ესენია: საამშენებლო მასალის სიიაფე და ხარისხი, დროული და გაადვილებული მიწოდება, ახალი სამუშაო ადგილები, 50-მდე ადგილობრივი დასაქმებული საწარმოში, გაპარტახებული ცელულოზა კომბინატის ტერიტორიის გამოცოცხლება, სადაც იმედია აღნიშნული საწარმოს მაგალითს აიღებენ სხვა ინვესტორებიც და ეს ტერიტორია უფრო აქტიურად დაიტვირთება საწარმოო დანიშნულების ობიექტებით. რეგიონის მუნიციპალიტეტი გადასახადის სახით 2 მლნ ლარამდე შემოსავალს მიიღებს წარმოების მუშაობის შედეგად და კიდევ მრავალი სხვა სიკეთე რეგიონისათის.

გარწმუნებთ, რომ ზუგდიდის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დადებითად განეწყობა პროექტის მიმართ, რადგანაც საწარმოს ფუნქციონირება განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის და გარემოს დაცვის რეგლამენტის გათვალისწინებით.

გისურვებთ წარმატებას სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში!

პატივისცემით, ქ. ზუგდიდის ენგურქაღალდკომბინატის დასახლების და ზუგდიდის რაიონის სოფლების ახალაბასთუმნის, შამგონის და ინგირის მოსახლეობის წარმომადგენლები:

(*დანართი 32 გვერდი)*